Vaziani
Martkopi vilage,
Gardabani disttrict
Georgia

შპს „ზდ ნავთობის კომპანია“

Марткопи,Вазиани
Гардабанский р-он,
Грузия

E-mail. zdoilcompany@gmail.com ID 404440501
საქართველო, გარდაბნის რაიონი, სოფ. მარტყოფი, ვაზიანი

26.08.2020
N51-08/20

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის
მინისტრს ბატონ ლევან დავითაშვილს

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
“ზდ ნავთობის კომპანია"-ს (ს/კ 404440501)
ელ. ფოსტა: zdoilcompany@gmail.com
ტ. 599 10-50-00

სკრინინგის განცხადება

ბატონო ლევან!

ჩვენს მიერ 20.08.2020 წელს (რეგ. #130077) წარმოდგენილი იქნა სკრინინგის განცხადება. განცხადების წარმოდგენის შემდეგ აღნიშნულმა დოკუმენტმა განიცადა მცირედი შესწორებები, შესაბამისად გთხოვთ შეწყვიტოთ #13077 განცხადების განხილვა და მის ნაცვლად განიხილოთ წინამდებარე განცხადება შემდეგი შინაარსით:

გაცნობებთ, რომ **შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ზდ ნავთობის კომპანია“ გარდაბნის რ-ი, სოფ. მარტყოფი, ვაზიანი, საკ/კ: 81.10.22.409, გააჩნია 22600 მ³ მოცულობის სარეზერვუარო პარკით ნავთობგადამამუშავებელი მინი ქარხანა** (GPS კოორდინატებში X - 503235.0 Y- 461763.0)

აღნიშნულ საწარმოდან უახლოესი დასახლებული პუნქტი დაშორებულია 750 მ-თ.

აღნიშნულ საწარმოზე, 2014 წლის 04 ივნისის #32 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე, 2020 წლის #2-656 ბრძანების საფუძველზე გაცემულია გარემოზე ზემოქმედების ნებართვა.

აღნიშნულ საწარმოში დაიგეგმა სარეზერვუარო პარკის გაზრდა, კერძოდ საწარმოს ტერიტორიისმომიჯნავედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ:81.10.22.390 და 81.10.22.547), რომელიც წარმოადგენს მის საკუთრებას, დაიგეგმა დამატებითი სარეზერვუარო პარკების მოწყობა, ასევე რეკონსტრუქცია უტარდება მე-2 სარეზერვუარო პარკს, ასევე მონტაჟდება სახანძრო წყლის რეზერვუარი და სახანძრო სატუმბო: რომელშიც განთავსებული იქნება შემდეგი მოცულობისა და ნავთობპროდუქტების სახეობის რეზერვუარები:

1. მე-3 სარეზერვუარო პარკში ეწყობა 1 ცალი 5000 მ³ მაზუთის რეზერვუარი, 1 ცალი 3000 მ³ მოცულობის ნაფტის რეზერვუარი და 2 ცალი, თითეული 1000 მ³ მოცულობის დიზელის საწვავის რეზერვუარები;

№ 13607
"27" 08 2020
2/33

2. მე-4 სარეზერვუარო პარკში ეწყობა 1ცალი 5000მ³ და 1 ცალი 2000მ³ მოცულობის ნედლი ნავთობის რეზერვუარები;
3. მე-2 სარეზერვუარო პარკთან დემონტაჟი ხდება წყლის რეზერვუარის და მის ნაცვლად ეწყობა 500მ³ მოცულობის ნავთობპროდუქტების (დიზელის საწვავის) რეზერვუარი;
4. მე-3 სარეზერვუარო პარკთან ეწყობა ნავთობპროდუქტების მიმღებ-გამცემი სატუმბო სადგური;

დამატებით მონტაჟდება 2000მ³ მოცულობის სახანძრო წყლის რეზერვუარი და სახანძრო წყლის სატუმბო;

საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი"-ს მე-5 მუხლის მე-12 ნაწილის შესაბამისად **შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "ზდ ნავთობის კომპანია"-ს სარეზერვუარო პარკით ნავთობგადამუშავებელი მინი ქარხნის ექსპლოატაციის პირობების ცვლილებასთან** დაკავშირებით (სარეზერვუარო პარკის მოცულობის გაზრდა) წარმოგიდგენთ განცხადებას სკრინინგის პროცედურის გასავლელად და გთხოვთ თქვენს გადაწყვეტილებას.

პატივისცემით

ბადრი ბუთხუზი
დირექტორი

ზდ ნავთობის კომპანია • GEORGIA
404440200
ZD OIL COMPANY LTD

დანართი: 1. სკრინინგის ანგარიში;